საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060102895603613

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

 # 1644 **23 / აგვისტო / 2013 წ.**

'მწვანე ალტერნატივა'-ს აღმასრულებელ
დირექტორს ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენს 2013 წლის 20 აგვისტოს #04/02-153 წერილის პასუხად განგიმარტავთ, რომ:

1. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს არ მიუმართავს ინფორმაციის მესაკუთრისათვის თანხმობის მიღების მიზნით, რადგან მას ამ ვალდებულებას მოქმედი კანონმდებლობა არ აკისრებს. თავის მხრივ, თქვენს მიერ სათანადო სამართლებრივი საფუძვლის მითითების შემთხვევაში, სამინისტრო მზად არის, გამოითხოვოს აღნიშნული თანხმობა;

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, **გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა** და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა." თქვენს მიერ #04/02-152 წერილით მოთხოვნილი დოკუმენტების საიდუმლოობა „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლით პირდაპირ არის გათვალისწინებული;

3. სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების თაობაზე თქვენს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების საიდუმლოდ მიჩნევის შესახებ.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ეკატერინე ბენდელიანი